

სწორად არჩეული პროფესია წარმატებული საქმიანობის საწინდარია

დალი სილაგაძე – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

PROPER OCCUPATIONAL CHOICE IS THE GUARANTEE OF SUCCESSFUL ACTIVITY

Dali Silagadze – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Introduction and aim: Acute economic crisis which followed to the transitional process on the market economics in our country, internal conflicts, raised many social problems. The circumstance that many industrial factories are closed and investments in the education are reduced, made a negative impact on the system of occupational education. Many occupational learning establishments have been closed and others tried to find the way of survival by establishing of learning courses requiring payment, for example, computer programs, accounting courses and others. The former relations with industrial enterprises was interrupted, teaching didn't comply with new requirements of the market economics. All these didn't stimulate negative image of this type of education in the society. This kind of education finally lost attraction in the society. The goal of research is based on the question that the market requirements are increased on skilled specialist in separate fields. This is very distinguished mostly on such occupations as are: builder, technician, electrician, as well as specialists of service, hotel and restaurant, agricultural businessmen, family personnel and others. Their deficiency importantly impedes economic development and competitiveness of the country. Therefore, we tried to study current situation in the system of occupational education and draw proper conclusions.

Research methodology: In the work there is represented all those processes with their advantages and disadvantages, statistic showings, which have an impact on occupational education and employment. Here are given governmental resolutions, materials of the research and strategies of occupational education in 2013-2020.

Results and implications: The research established the most required professions, which requires orientated education to the labour market, as proper occupational choice is the guarantee of successful activity. The graduates can transfer their skills in private as well as state enterprises.

Conclusion: We'd like to note that occupational education which is mainly obtained by state financing and is a priority of the country, is very essential and supports to the employment of the population and solving problems of social integration. Therefore, reforms in the system of occupational education in Georgia is important not only for education and training but for development of human resources as a main capital for economic growth of the country. Any further development of economics is mainly depended on the quality of human resources.

Keywords: occupational education, educational system, reforms, researches, labour market, employment, students, employers

მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც თან სდევდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს ჩვენს ქვეყანაში, ფეთქებადმა შიდა კონფლიქტებმა, გამოიწვია მრავალი მწვავე სოციალური პრობლემა. იმ გარემოებამ, რომ დიდი რაოდენობით დაიხურა სამრეწველო საწარმოები და ამასთანავე, შემცირდა ინვესტიციები განათლებაში, განსაკუთრებულად უარყოფითად იმოქმედა პროფესიული განათლების სისტემაზე. ფუნქციონირება შეწყვიტა პროფესიული სასწავლებლების დიდმა ნაწილმა; სხვებმა სცადეს გადარჩენის გზების ძიება ფასიანი სასწავლო კურსების შემოღებით, მაგ. კომპიუტერული პროგრამები, საბუღალტრო კურსები და სხვა. გაწყდა ადრე არსებული კავშირები სამრეწველო საწარმოებთან, სწავლება არ შეესაბამებოდა საბაზრო ეკონომიკის ახალ მოთხოვნებს. ეს ყველაფერი არ უწყობდა ხელს საზოგადოებაში განათლების ამ ტიპის ისედაც, უარყოფითი იმიჯის გაუმჯობესებას. ამ სახის განათლებამ საბოლოოდ დაკარგა მიმზიდველობა მოსახლეობაში. პარალელურად, სულ უფრო იზრდება ბაზრის მოთხოვნა ცალკეული სფეროს კვალიფიციურ სპეციალისტებზე. ეს თვალსაჩინოა განსაკუთრებით ისეთ

კვალიფიკაციებზე, როგორცაა, მაგ. მშენებელი, სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი, ასევე, მომსახურების, სასტუმრო და სარესტორნო საქმის სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი, საოჯახო პერსონალი და სხვა. მათი ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და კონკურენტუნარიანობას. სწორედ ამიტომ, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში დაწყებული რეფორმები მნიშვნელოვანია არა საკუთრივ განათლებისა და მომზადების, არამედ ადამიანური რესურსების, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ძირითადი კაპიტალის, განვითარების თვალსაზრისით. ნებისმიერი ეკონომიკის შემდგომი განვითარება ხომ ძირითადად დამოკიდებულია შრომითი რესურსების ხარისხზე. საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან პროფესიულ-ტექნიკური განათლება ითვლებოდა არაპრესტიჟულად და ნაკლებად იზიდავდა ახალგაზრდობას მოსახლეობის საშუალო ფენებიდან;

პროფესიულ სასწავლებლებში საერთო პირობები, სწავლება ძველი პროგრამებით არ შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს, ეფუძნებოდა ძირითადად თეორიულ ცოდნას, რადგან თითქმის არ არსებობდა პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობები.

სხვაგვარი მდგომარეობაა ევროპის ქვეყნებში. პროფესიული განათლების პოპულარობა ამ ქვეყნებში თვალნათლივ უკავშირდება ეკონომიკის განვითარების ისტორიულ ტრადიციებს, ქვეყნის ჩამოყალიბებულ კულტურასა და მოსახლეობის მენტალიტეტს. მაგალითად, გერმანულენოვან ქვეყნებში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან არსებულმა ხელოსნობის ტრადიციებმა განაპირობა ამ სახის მომსახურების მაღალი ხარისხი და შესაბამისად, ტექნიკური პროგრესი. საზოგადოებაში მაღალი და აღიარებულია დარგობრივი სახელოსნო პალატების სტატუსი, რაც განაპირობებს მათ მნიშვნელოვან გავლენას განათლების პოლიტიკაზე. პალატები ტრადიციულად, აქტიურად მონაწილეობენ პროფესიული და სასწავლო სტანდარტების დადგენაში, ამუშავებენ პროგრამებს ახალ პროფესიებში, მონაწილეობენ მოსწავლეთა გამოსაშვებ გამოცდებში, აფასებენ მათ მომზადებას პროფესიაში და ვარგისიანობას შრომის ბაზარზე. შესაბამისად, ამ ქვეყნებში პროფესიული განათლება ხორციელდება საწარმოო და სახელოსნო საწარმოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, უმეტესად კი, სწავლება მიმდინარეობს პირდაპირ მომავალ სამუშაო ადგილზე. პროფესიულ სკოლაში მოსწავლეები ატარებენ კვირაში მხოლოდ ერთ ან ორ დღეს, სადაც იღებენ თეორიულ ცოდნას სპეციალობაში. ამ ქვეყნებში, ტრადიციულად, ძალზე მაღალია პროფესიული განათლების პრესტიჟი. კვალიფიკაციურ სპეციალისტთა შემოსავლისა და ხელფასების დონე კი - არაფრით ჩამორჩება უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა შემოსავალს.

სხვა ტრადიციებია სამხრეთ ევროპის ქვეყნებში. პროფესიული მომზადება ხორციელდება პროფესიული მომზადების ცენტრებში, რომლებიც იმგვარადაა აღჭურვილი, რომ ადგილზე შესაძლებელია პრაქტიკული სწავლება და თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში.

დაახლოებით ანალოგიური მოდელი მკვიდრდება ამჟამად საქართველოშიც. მართალია, ახლად შექმნილ პროფესიული სწავლების ცენტრებში სასწავლო ადგილების რაოდენობა ჯერ კიდევ არასაკმარისია იმ ახალგაზრდების მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ვერ შეძლებენ სწავლის გაგრძელებას პროფესიულ უმაღლეს ან აკადემიურ განათლებაზე, მაგრამ ცენტრების ქსელის დაგეგმილი გაფართოებით, შესაძლებელი გახდება პროფესიათა ფართო სპექტრში ხარისხიანი განათლების შეთავაზება.

საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმის ძირითადი აქცენტები:

რეფორმის უმთავრესი ამოცანაა პროფესიული განათლების ადაპტაცია ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სოციალურ პარტნიორთა აქტიური მონაწილეობით, რომლებსაც სახელმწიფო უწყებებთან ერთად წარმოადგენენ, უპირველესად, კერძო კომპანიები შრომითი რესურსების დამკვეთის როლში, შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამდენად, სოციალური პარტნიორობის როლი პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში მუდმივად უნდა მაღლდებოდეს. მომავალ სპეციალისტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები უშუალოდ უნდა იქნეს შეთანხმებული შესაბამისი დარგის კერძო საწარმოთა წარმომადგენლებთან, გარკვეული პროფესიის სპეციალისტებთან. საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შინაარსის საფუძველს წარმოადგენს პროფესიული სტანდარტები, რომლებშიც კონკრეტულად არის აღწერილი ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელთა დაუფლება აუცილებელია მომავალი სპეციალისტისათვის.

პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემაში, ასევე, აუცილებელია სხვა სახის პროფესიული საქმიანობისათვის ზრდასრული მოსახლეობის ფართო ფენების გადამზადების ფუნქციის ჩართვა. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღნიშნული ჯგუფების დასაქმებისა და სოციალური ინტეგრაციის პრობლემის გადაწყვეტას.

საბჭოთა გეგმიური ეკონომიკიდან მეტნაკლებად თავისუფალ ბაზრებსა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, არა მხოლოდ დაიხურა სახელმწიფო საწარმოთა უმეტესობა, რის შედეგადაც ადამიანებმა დაკარგეს სამუშაო; აღმოჩნდა, რომ სპეციალისტთა დიდი ნაწილი მოუმზადებელი და გამოუსადეგია შეცვლილი ახალი პირობებისათვის.

ტექნოლოგიური ცვლილებების პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს პირობად იქცა ახალი გარემოსადმი შეგუების, შეცვლილ რეალობაში სხვა ადგილის პოვნის უნარი, რაც ნიშნავს მოქნილობას როგორც აზროვნებაში, ასევე, ქცევაში. დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია ის გარემოება, რომ პოსტ-ინდუსტრიული ეკონომიკის ქვეყნებში სწორედ ადამიანური რესურსები წარმოადგენენ სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური, ასევე, საერთო განვითარების მთავარ და გადამწყვეტ ფაქტორს.

გლობალიზაციის ფონზე, როდესაც მსოფლიო ბაზრები უკვე აღარ ცნობენ როგორც წარმოებული პროდუქციის, ასევე, სამუშაო ძალის (ანუ ადამიანური კაპიტალის) საზღვრებს, ნებისმიერი სახალხო მეურნეობის (ნებისმიერი მაკრო ეკონომიკისათვის) განვითარებისა და წარმატებისათვის, გადამწყვეტია სწორედ ადამიანური რესურსების ხარისხის ფაქტორი. მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა ამ საკითხისადმი მიდგომის შემუშავებაში, შეუძლია პროფესიულ ორიენტაციასა და კონსულტაციას.

„მონაცემებზე სწრაფი წვდომისა და ელექტრონული მომსახურების სერვისის საჭიროება ვებ-დეველოპერებზე მასობრივ მოთხოვნას ქმნის“ – აცხადებენ სპეციალისტები. ამ პროფესიის შესამქნად კი მოკლევადიანი სერთიფიკატის კურსები სრულიად საკმარისია.

სიაში მეორე ფარამაცევტის ტექნიკური დამხმარის პროფესიაა. იმის ნაცვლად, რომ სამედიცინო კოლეჯში წლები ისწავლოთ, ამ პროფესიის დასაუფლებლად რამდენიმე თვეა საკმარისი. ისინი ლიცენზირებულ ფარმაცევტებს ეხმარებიან წნევის გაზომვაში, რეცეპტების მიხედვით წამლების გაცემაში, მათ შეფუთვაში, აღჭურვილობის მოწესრიგებაში და მომხმარებელთა შეკითხვების პასუხსა და ინფორმირებაში. ისევე როგორც ვებ-დეველოპერების შემთხვევაში, ამ პროფესიის ადამიანებზე მოთხოვნა 2022 წლამდე 20%-ით გაიზრდება. მზარდი მოთხოვნის მიზეზი მოსახლეობის ზრდაა, რომელთა მხრიდანაც სულ უფრო იზრდება მედიკამენტებსა და პირველად სამედიცინო კონსულტაციაზე მოთხოვნა.

იმ პროფესიებს შორის, რომლებიც კვალიფიკაციის დაბალ დონეს მოითხოვენ, მოთხოვნა კი საკმაოდ მაღალია, მესამე ადგილზე გამათბობლების, კონდიციონერებისა და მაცივრების შემკეთებლის პროფესიაა. დღევანდელი ცივილიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ტემპერატურის კონტროლია. გამათბობლები უზრუნველყოფენ სითბოს ზამთარში, გამაგრილებლები კი სიგრილეს ზაფხულში. მაცივრები კი ჩვენს პროდუქტს უსაფრთხოდ ინახავენ. მათი შემკეთებელ-მემონტაჟეების პროფესიაც შესაბამისად მოთხოვნადია. მათ მოვალეობებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი დაემატა – მომხმარებელთა ინფორმირება ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით. ამ პროფესიაზე მოთხოვნის ზრდა 2022 წლისთვის 21%-ს შეადგენს. მათზე მოთხოვნას კი ის ფაქტი განაპირობებს, რომ თითქმის ყველა სახლსა თუ საოფისე შენობაში არის დამონტაჟებული გამათბობელი ან კონდიციონერი. ამასთანავე, ბევრი მსგავსი მოწყობილობა მინიმუმ 10-15 წელში საჭიროებს განახლებას ან სრულიად გამოცვლას, რაც დამატებით სამუშაოს ნიშნავს. ამ პროფესიის შემქნას კი ბაკალავრის ხარისხი სულაც არ სჭირდება.

მეოთხე პროფესია დიაგნოსტიკური სამედიცინო სონოგრაფიაა. ამ პროფესიას თანამედროვე ტექნოლოგიის პირობებში უამღლესი კვალიფიკაცია არ სჭირდება, რადგან დიაგნოზის დასმა თანამედროვე აპარატების საშუალებითაა შესაძლებელი, მთავარია მათი მოხმარება ვიცოდეთ. ამ პროფესიაზე მოთხოვნა 2022 წლისთვის, რეკორდულად, 46%-ით გაიზრდება. პროფესიაზე მოთხოვნის ზრდა ტექნოლოგიურმა პროგრესმა განაპირობა, დიაგნოზის დასასმელად ექიმის ინსტიტუტს ნელ-ნელა ანაცვლებს ტექნიკური მოწყობილობები, რომელთა მართვაცაა საჭირო. ამ მართვის შესწავლისთვის კი სპეციალური კურსების გავლაც საკმარისია უამღლესი განათლების მიღების გარეშე.

სულ უფრო პოპულარული ხდება სამშენებლო მენეჯერის პროფესია. შენობები და ცათამბჯენები რომელსაც თვალი ასე შეეჩვია, თავისით არ შენდება. სამუშაო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი არიან სამშენებლო მენეჯერები. ამ პროფესიაზე მოთხოვნა 2022 წლისთვის 16%-ით გაიზრდება. მოთხოვნის

ზრდას განსაკუთრებით წინასწარმეტყველებენ მომდევნო 5-10 წლის განმავლობაში, რადგან კომერციული პროექტების ბუმი მოსალოდნელი. „ეკონომიკის გაჯანსაღებასთან ერთად, მოსალოდნელია კომერციული ფართების, საცხოვრებელი სახლების, სავაჭრო მოღობის მშენებლობების მატება, რაც ლოგიკურად ზრდის მოთხოვნას სამშენებლო მენეჯერებზე“ – აცხადებენ სპეციალისტები. ამ სფეროში მუშაობის უფლების მოსაპოვებლად კი მოკლევადიანი ლიცენზირებული კურსების გავლა სრულიად საკმარისია.

2022 წლამდე 11%-ით გაიზრდება ბუღალტრებისა და აუდიტორების დამხმარე პერსონალზე მოთხოვნა. არც ამ პროფესიას სჭირდება უმაღლესი განათლება. მათი მათავარი მოვალეობა ქვითრების, ვაუჩერებისა და ნაღდი გადახდების აღრიცხვა-გატარებაა. მათ მოვალეობაში ასევე შედის მონაცემების კომპიუტერულ პროგრამებში შეყვანა და ანგარიშის ტექნიკური მომზადება. ეს პროფესია სულ უფრო აქტუალური ხდება კომპანიებისთვის, რომელთაც ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდეგ რეგულატორები მეტ მოთხოვნებს უწესებენ.

იურისტის დამხმარის პროფესიაში შედის კვლევების ორგანიზება, დოკუმენტაციის მომზადება-ორგანიზება. ისინი ასევე აწარმოებენ მოპალარაკვებებს კლიენტებთან. 2022 წლამდე ამ პროფესიის ადამიანებზე მოთხოვნა 17%-ით გაიზრდება. ძვირადღირებული იურისტების დაქირავების ნაცვლად, კლიენტები იურიდიული კონსულტაციის მისაღებად ხშირად ამ პროფესიის ადამიანებს მიმართავენ, რომელთა მომსახურებაც გაცილებით იაფი ჯდება. სულ უფრო იზრდება მოთხოვნა სტომატოლოგის ჰიგიენისტის პოზიციაზე. სტომატოლოგის ლიცენზიის მოპოვება ძვირადღირებული და გრძელვადიანი შრომაა, რასაც ვერ ვიტყვით მათ დამხმარე პერსონალზე. ამ პოზიციაზე მოთხოვნა 2022 წლისთვის 33%-ით გაიზრდება.

ექვსი ყველაზე მაღალანაზღაურებადი „დაბალი კვალიფიკაციის“ მქონე პროფესია ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე პროფესია ამ სიაშიც მოხვდა. მაგალითისათვის, იურისტის დამხმარის საშუალო შემოსავალი წელიწადში 46.990 აშშ დოლარია, მათგან ყველაზე მაღალანაზღაურებადი ნაწილი წელიწადში 75 410 აშშ დოლარს გამოიმუშავებს, ყველაზე დაბალ ანაზღაურებადის შემოსავალი კი წელიწადში 29 420 აშშ დოლარია. ლიცენზირებული ექთნების საშუალო წლიური შემოსავალი 65 470 აშშ დოლარია. ყველაზე მაღალ შემოსავლიანების საშუალო შემოსავალი წელიწადში 94 720 აშშ დოლარს, ხოლო დაბალ შემოსავლიანების შემოსავალი 45 040 აშშ დოლარს შეადგენს. პოლიციის ოფიცრების საშუალო შემოსავალი წელიწადში 55 270 აშშ დოლარია, ყველაზე მაღალანაზღაურებადი ოფიცრები 89 310 აშშ დოლარს იღებენ, ხოლო ყველაზე დაბალ შემოსავლიანები – 32 350 დოლარს.

სტომატოლოგის ჰიგიენისტების საშუალო წლიური შემოსავალი 70 210 აშშ დოლარია, ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპეციალისტების შემოსავალი – 96 280 აშშ დოლარი, ყველაზე დაბალ ანაზღაურებადის შემოსავალი კი 46 540 აშშ დოლარია წელიწადში. პროგრამისტები წელიწადში საშუალოდ 74 280 აშშ დოლარს გამოიმუშავებენ, ყველაზე მაღალ ანაზღაურებადები – 17 890 აშშ დოლარს, ყველაზე დაბალ შემოსავლიანები კი – 42 850 აშშ დოლარს. სამედიცინო დოკუმენტაციის აღმრიცხველი და ჯანდაცვის სფეროს სხვა ტექნიკური პერსონალის საშუალო წლიური შემოსავალი 34 160 აშშ დოლარია, მათგან ყველაზე მაღალშემოსავლიანები წელიწადში საშუალოდ 56 200 აშშ დოლარს იღებენ, ყველაზე ნაკლებ შემოსავლიანები კი 22 250 აშშ დოლარს.

ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ზოგადად, სპეციალისტები დასაქმების ბაზარზე სამუშაო ადგილების ზრდას წინასწარმეტყველებენ 2020 წლისთვის. მაგრამ ეს ყველა სპეციალობას მეტ-ნაკლებად ეხება. არ აქვს მნიშვნელობა თქვენ საშუალო სკოლას დაამთავრებთ, მოკლევადიან კურსებს, კოლეჯს თუ უმაღლეს სასწავლებელს, თქვენი მთავარი მიზანი მომავალში კარგად ანაზღაურებადი სამსახურის შოვნაა. ამიტომ, როცა სწავლის გასაგრძელებლად ფაკულტეტს ირჩევთ, პროგნოზებსაც უნდა მიაქციოთ ყურადღება.

ბევრ პროფესიაზე მოთხოვნის ზრდა 2020 წლისათვის, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, 30%-ს გადააჭარბებს. ამიტომ მომავალი სტუდენტებისთვის უპრიანი იქნება პროფესია ამ სიის მიხედვით აირჩიოს. სიაში პირველ ადგილზე პერსონალური ფინანსური მრჩეველის პროფესიაა. 2020 წლამდე ამ პროფესიაზე მოთხოვნა 30%-ით გაიზრდება. მათი მთავარი მოვალეობა კლიენტებისათვის ფინანსურ სირთულეებში გარკვევა, საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებასა და საგადასახადო საკითხებში დახმარებაა. მათი დახმარება განსაკუთრებით იმ პენსიონერებს სჭირდებათ, რომელთაც სიცოცხლის განმავლობაში სოლიდური დანაზოგი გააკეთეს, თანამედროვე ფინანსურ სამყაროში გარკვევა კი ძალიან

უჭირთ და ეძებენ ფულის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენების გზებს. ამ პოზიციაზე მომუშავეებს, როგორც წესი, მინიმუმ ბაკალავრის დიპლომს სთხოვენ.

მეორე მზარდი მოთხოვნის პროფესია მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორია, რომელზე მოთხოვნაც 2020 წლისთვის 31%-ით გაიზარდა. მათთვის წაყენებულ მოთხოვნებში ხშირად დამსაქმებლები მხოლოდ ბაკალავრის დიპლომს არ ჯერდებიან და ასევე ითხოვენ ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო ხარისხს.

მოთხოვნადია მარკეტინგული კვლევის ანალიტიკოსთა პროფესიაც. ამასთანავე, მასზე მოთხოვნა 2020 წლისთვის 41%-ით გაიზარდა. მათი მოვალეობა ბაზრების მარკეტინგული კვლევა, ტრენდების განსაზღვრა, ანგარიშების მომზადება და მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებაა. დასაქმებისათვის აუცილებელია ბაკალავრის დიპლომი, მარკეტინგის, ბიზნეს ადმინისტრირების, სოციალური მეცნიერებების სფეროში ან ისეთ მონათესავე სპეციალობებში, როგორცაა მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, სტატისტიკა და სხვა.

2020 წლისთვის 30%-ით გაიზარდა პროგრამული დეველოპერების პროფესიაზე მოთხოვნა. მათი მთავარი მოვალეობა ახალი პროგრამების შექმნა და ძველი კომპიუტერული პროგრამების განახლება/სრულყოფაა. ამ შემთხვევაშიც, პირველი მოთხოვნა, მინიმუმ, ბაკალავრის ხარისხია ისეთ სფეროებში, როგორცაა კომპიუტერული მეცნიერებები, პროგრამული უზრუნველყოფა ან სხვა მონათესავე სფეროებში.

რომელი პროფესია ავირჩიოთ საქართველოში? მსოფლიო ტენდენციებს ფხვს საქართველოც უწყობს. ჩვენთან, ისევე როგორც განვითარებულ ქვეყნებში მაღალია მოთხოვნა მარკეტინგის სპეციალისტებზე, ვებ-დიზაინერებზე, ბუღალტრებსა და სხვა ზემოთ დასახელებულ პროფესიებზე. რაც შეეხება საქართველოს შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა მხრიდან, ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების ათეულს, შემდეგნაირად გამოიყურება: სიაში პირველი მარკეტინგის სპეციალისტია. ბოლო წლებია ყველაზე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე.

ინტერნეტ-ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტებზე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშია მოთხოვნა. კომპანიებს მუდმივად სჭირდებათ კომპიუტერული ტექნოლოგიების საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც ტექნიკურ პრობლემებს მყისიერად აღმოფხვრიან და პასუხისმგებელიც იქნებიან ქსელის გამართულ მუშაობაზე.

მაღალია, მოთხოვნა ვებ-დიზაინერის პროფესიაზეც. განსაკუთრებით პოპულარულია გრაფიკული დიზაინის, მულტიმედიის, ვიზუალური ხელოვნების მიმართულებები. პროგრამისტებზე მოთხოვნა სტაბილურად მზარდია, ბიზნესს კომპანიები დიდ ყურადღება უთმობენ ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში კორპორატიული პროფილების ინტეგრირებას და განვითარებას.

წლიდან წლამდე იზრდება მოთხოვნა დისტრიბუტორებზე. ბაზარზე უამრავი სავაჭრო ობიექტი გაიხსნა, მათ კი მომარაგება სჭირდება. ამ სფეროში განსაკუთრებით დიდია კონკურენცია. მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება დისტრიბუტორებზე, რაც ასევე კომპანიის ქსელების გაფართოებით ან ახალი ჩამნაცვლებელი კადრების ძიებით არის განპირობებული.

ტურიზმის სპეციალისტის პოპულარობა ბოლო დროს ტურიზმის მთავარ მიმართულებად გამოცხადებამ გამოიწვია. ქვეყანაში ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა დაიწყო, საქართველოს პოტენციალის საერთაშორისო რეკლამირებამ კი საქართველოსადმი ინტერესი გაზარდა. განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა გიდებზე, რამაც გასულ წლებში კადრების დეფიციტი გამოიწვია. განსაკუთრებული მოთხოვნაა ინგლისურენოვან გიდებზე.

ბუღალტერ-ფინანსისტი საკმაოდ პერსპექტიული პროფესიაა. შრომის ბაზარზე ამ სპეციალობის წარმომადგენლებს საკმაოდ მაღალი შემოსავალი აქვთ. ბუღალტერი, ისევე როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიის სპეციალისტი, ნებისმიერ ბიზნესს სჭირდება. გარდა ამისა, კვალიფიციური ბუღალტერი მნიშვნელოვანია საგადასახადო სამსახურებთან ურთიერთობაში, კომპანიების ფინანსურად გამართვაში და გაუთვალისწინებელი ხარჯების თავიდან აცილებაში. ტურიზმის განვითარებამ ასევე გამოიწვია მოთხოვნის ზრდა მიმტანის, ბარმენის, სასტუმროს ადმინისტრატორის პროფესიებზე.

საქართველოში ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს შორის პირველ ათეულში ასევე მოხვდნენ ექიმები, იურისტები და მასწავლებლები. ამის მიზეზი ისაა, რომ მასწავლებლობა დღეს აღარავის სურს. კვალიფიციური კადრები სამუშაოდ სკოლაში აღარ მიდიან, რადგან პედაგოგის ანაზღაურება საკმაოდ

დაბალია, პასუხისმგებლობა კი ძალიან დიდი. პედაგოგებს შორის ჭარბობს მოთხოვნა ინგლისური ენის მასწავლებლებზე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლამ მიმდინარე წლის მარტში ჩაატარა კვლევა (კვლევის ფარგლებში ინფორმაცია მოძიებული იქნა შემდეგი ვებ-გვერდებიდან: www.saqme.ge, www.myjobs.ge, www.hr.ge და www.jobs.ge), რომელმაც გამოავლინა კომპანიებისა და საზოგადოების მხრიდან 10 ყველაზე მოთხოვნი პროფესია/პოზიცია.

კვლევის შედეგად გამოვლენილ კომპანიების მხრიდან 10 ყველაზე მოთხოვნი პროფესიაში/პოზიციაზე პირველ ადგილს იკავებს – მენეჯერი ; შემდეგ ადგილზეა კონსულტანტი, მესამე ადგილზეა მოლარე შემდეგ ადგილს იკავებს მიმტანი, მეხუთე ადგილზეა ადმინისტრატორი, შემდეგ მოსდევს გამყიდველი მეშვიდე ადგილს იკავებს დამლაგებელი, მერვე ადგილზე მოდის დისტრიბუტორი, შემდეგ ადგილს იკავებს პრისელერი, ხოლო ბოლო ადგილს იკავებს გაყიდვების აგენტი.

საზოგადოების მხრიდან 10 ყველაზე მოთხოვნი პროფესიას/პოზიციას: პირველ ადგილს იკავებს – ბუღალტერი (თებერვლის თვეში პირველი ადგილი); მეორე ადგილზეა მზარეული (თებერვლის თვეში მეოთხე ადგილი); შემდეგ ადგილს ინაწილებენ მძღოლი და ძიძა (მძღოლი-მეცხრე ადგილი, ძიძა-არ იყო მოთხოვნი პროფესიებში) მეოთხე ადგილზეა კონსულტანტი (თებერვალში მეექვსე ადგილი) მეხუთე ადგილს იკავებს დამლაგებელი (თებერვალში მეორე ადგილი) მეექვსე ადგილზეა მიმტანი (თებერვალში მესამე ადგილი) შემდეგ მოდის ოჯახის დამხმარე (თებერვალში არ იყო მოთხოვნი პოზიციაზე) მერვე ადგილზეა მცხოვრებელი (თებერვალში მეშვიდე ადგილი); მეცხრე ადგილს იკავებს მუშა (თებერვალში არ იყო მოთხოვნი პროფესიებში); ხოლო ბოლო ადგილს იკავებს ოფის-მენეჯერი (თებერვალში არ იყო მოთხოვნი პოზიციაზე).


2015 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ სტუდენტების მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სულ იყო 140, მ.შ. კერძო 105, საჯარო 35. აქედან: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები 11, პროფესიული კოლეჯი კერძო - 40, საჯარო - 11. საზოგადოებრივი კოლეჯი კერძო - 41, საჯარო - 9. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კერძო-13, საჯარო-15. პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2596 ქალი და 1197 მამაკაცი. რაც შეეხება სტუდენტთა რაოდენობას სულ ჩარიცხულია 8035 ქალი და 8738 მამაკაცი. აქედან პროგრამების მიხედვით: აგრარული მეცნიერებანი - 1489. ბიზნესის ადმინისტრირება - 3538. ინჟინერია - 5275. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი - 38. მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები - 1632. სამართალი - 857. სოციალური მეცნიერებები-65. ხელოვნება - 1382. ჯანდაცვა - 2497. რაც შეეხება ასაკს იგი ძირითადად მერყობდა 15 დან 35 წლამდე. ასევე საინტერესოა კურსდამთავრებულთა რაოდენობა, სულ - 11728, აქედან ქალი - 5877, მამაკაცი - 5851.

ეხლა ვნახოთ კვლევების მიხედვით როგორ საქმდებიან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები, კვლევები განახორციელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტმა. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 84,9 % კმაყოფილია მათ მიერ არჩეული პროფესიული პროგრამით და 92,2% კი აფიქსირებს პროფესიული სასწავლებლით კმაყოფილებას.

2012/2013 სასწავლო წლის პროფესიული პროგრამების გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 42% დასაკმებელია. დასაკმებულთა 89% სრულად ან ნაწილობრივ კმაყოფილია თავისი საქმიანობით. დასაკმებულ კურსდამთავრებულთა თითქმის ნახევარი (42%) აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობა სრულად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია პროფესიულ სასწავლებელში მიღებულ პროფესიასთან;


კვლევამ მოიცვა საქართველოს მასშტაბით არსებული ყველა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2012/2013 სასწავლო წლის 1310-მა კურსდამთავრებულმა, რომელთაგან მამრობითი სქესის რესპონდენტი იყო 815, ხოლო, მდედრობითი - 495. პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა საშუალო ასაკი 24 წელია, ყველაზე ხშირი ასაკი კი 20 წელია. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა - 73,9% - არის დასაოჯახებელი; 24,7% - დაოჯახებული. რესპონდენტთაგან სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს 24,8%-ს, ხოლო 6,5% აღნიშნავს, რომ აქვს იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი. ნახატი #1 გვიჩვენებს პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა პროცენტულ

განაწილებას დასახელებული სოციალური სტატუსების მიხედვით, საიდანაც ჩანს, რომ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობას (68.3%) არ შეესაბამება არცერთი სოციალური სტატუსი.



როგორც შედეგებმა აჩვენა, **კურსდამთავრებულები ყველაზე კმაყოფილები** სტუდენტსა და ლექტორს შორის ურთიერთობით და მასწავლებლების კვალიფიკაციით არიან, ამ მონაცემთა საშუალო მაჩვენებლები, შესაბამისად, 2,97 და 2,94-ს უდრის. ისინი, **ყველაზე ნაკლებად კმაყოფილები**, დასაქმებაზე ზრუნვით არიან. ამ შემთხვევაში, კმაყოფილების საშუალო მაჩვენებელი 2-ზე დაბალია, კერძოდ კი 1,81-ს უდრის.

ნახატი #2 გვიჩვენებს განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებით კმაყოფილების შეფასების საშუალო მაჩვენებელს



ცხრილი 1

- სხვადასხვა დარგობრივი მიმართულების სასწავლო პროგრამების კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება მათი ამჟამინდელი საქმიანობის მიხედვით

დარგი/ საქმიანობა	აგრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრ ირება	ინჟინერია	საბუნებისმე ტყველო მეცნიერებანი	მიმართულე ბათაშორისი დარგები	ხელოვნება	ჯანდაცვა
სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში	0.7%	2.2%	6.5%	0	0	2.9%	0
სწავლობს პროფესიულ პროგრამაზე	7.2%	10%	4.7%	12.5%	5.9%	6.8%	10%
მუშაობს	41.7%	35%	34.8%	50%	47.1%	29.8%	26.7%
აქვს საკუთარი ბიზნესი	0	3.75%	0.6%	0	0	3.7%	0
სტაჟიორია	0.7%	1.3%	0.8%	0	0	0	0
ჩართულია საოჯახო მეურნეობაში	2.9%	1.3%	1.4%	0	0	0	0
დაუსაქმებელია	42.4%	31.3%	48.8%	37.5%	43.7%	51.6%	43.3%
დაბრუნდა სკოლაში	2.2%	0	1.2%	0	0	0	0
სხვა	0	0	0.6%	0	1.7%	3.7%	0

სულ	97.8%	84.85%	99.4%	100%	98.4%	98.5%	80%
-----	-------	--------	-------	------	-------	-------	-----

აღსანიშნავია, რომ ყველა სპეციალობის კურსდამთავრებულებიდან 6,3% აგრძელებს სწავლას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. 1,4% სწავლას აგრძელებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში და 1% დაბრუნდა სკოლაში. იმ კურსდამთავრებულთა უმეტესობა (59%), რომლებიც სწავლას აგრძელებენ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ან პროფესიულ სასწავლებლებში, სწავლობს პროფესიულ სასწავლებელში მიღებულ პროფესიასთან პირდაპირ ან ნაწილობრივ დაკავშირებულ სასწავლო პროგრამაზე.

კვლევის მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა 15 სასწავლო პროგრამა (პროფესია), რომელთა კურსდამთავრებულები ყველაზე ხშირად არიან დასაქმებულები. აღმოჩნდა, რომ დასაქმებულ რესპონდენტთა შორის ყველაზე ხშირად დასაქმებულია მზარეულის პროფესიის მქონე კურსდამთავრებული. კერძოდ, კვლევაში მონაწილება მიიღო 84-მა მზარეულის პროფესიის მქონე რესპონდენტმა, მათგან 46 აღმოჩნდა დასაქმებული, რაც პროცენტული დაანგარიშებით 55%-ის ტოლია. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე 18 გიდის პროფესიის კურსდამთავრებულთა შორის 11 დასაქმებულია. ეს მონაცემი პროცენტული დაანგარიშებით 61%-ის ტოლია.

დასაქმებულ კურსდამთავრებულთა დაახლოებით 42,6% აღნიშნავს, რომ მათი სამუშაო სრულად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია იმ სპეციალობასთან, რომელიც მიიღეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 57,4% აღნიშნავს, რომ მისი სამუშაო არ არის კავშირში მიღებულ სპეციალობასთან. აღსანიშნავია, რომ საკუთარი ბიზნესის მქონე რესპონდენტთა უმრავლესობა (61,6%) აფიქსირებს, რომ მისი ბიზნესი სრულად ან ნაწილობრივ არის დაკავშირებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან. საოჯახო მეურნეობით დაკავებული რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მის საქმიანობასა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობას შორის კავშირი არ არის. მხოლოდ 3 რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მისი საქმიანობა ნაწილობრივ დაკავშირებულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასთან.

მინდა შევეხო ჩემს საქმიანობას პროფესიულ სწავლებასთან დაკავშირებით, სპეციალობა -სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი, მეოთხე საფეხური, სტუდენტების ნაწილი მეტნაკლებად კმაყოფილი არიან სასწავლებლის ინფრასტრუქტურით, მოითხოვენ უფრო მეტ კომპიუტერებს თავის სასწავლო პროგრამებით, რასაც ამჟამად ვანხორციელებთ. გამოკითხულ სტუდენტთა ნაწილისთვის სასურველია არსებული, მოძველებული კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, ტრაქტორების და სხვა პროფესიული განათლების მისაღებად საჭირო აღჭურვილობის თანამედროვე საშუალებებით ჩანაცვლება. კვლევის მონაწილე სტუდენტების უმრავლესობა ინტერესს იჩენს ისეთი დამატებითი აქტივობების მიმართ, როგორცაა კონფერენციები, ოლიმპიადები, სემინარები, დებატები, ინტელექტუალური აქტივობები, შემეცნებითი ღონისძიებები და მათი ინტენსივობის გაზრდას მიიჩნევს სასურველად. შემეცნებითთან ერთად, სტუდენტებისთვის სასურველია გასართობი ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებების და სხვადასხვა სპორტული აქტივობების ორგანიზება. ასევე სასურველ ცვლილებებს შორის დასახელდა გაცვლითი პროგრამების არსებობა. პრაქტიკული მეცადინეობები და პედაგოგების მიერ გაწეული ინსტრუქტაჟი მოსწონთ, იმ სტუდენტებს შორის, ვისაც აქვს საწარმოო პრაქტიკის გამოცდილება, დიდი ნაწილი (74%) კმაყოფილია, როგორც პრაქტიკის ხელმძღვანელით ორგანიზაციის მხრიდან, ასევე, პრაქტიკის ხელმძღვანელით სასწავლებლის მხრიდან (74%). გამოკითხულთა 70% კმაყოფილია იმ ორგანიზაციით, სადაც გაიარა საწარმოო პრაქტიკა. სტუდენტების თითქმის იგივე რაოდენობა ასევე კმაყოფილია საწარმოო პროგრამის ხანგრძლივობით (71%) და პრაქტიკის შედეგად მიღებული უნარ-ჩვევებით (72%). ჩვენ პროგრამას ვანხორციელებთ 2014 წლიდან და არ განვიცდით სტუდენტების ნაკლებობას, ამას ვახერხებთ პირადი აგიტაციით, ინტერნეტის, მეგობრების, კურსდამთავრებულების, ახლობლების დახმარებით. მათ ვუხსნით რომ პროგრამები ხორციელდება სახელმწიფოს დაფინანსებით და თუ გინდათ გახდეთ პროფესიონალი მიიღოთ დიპლომი, შექმნათ სამუშაო ადგილები, მაშინ იმოქმედეთ, დარეგისტრირდით სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯში, მიიღეთ შრომის ბაზარზე განწყობილი, მათ შორის მშობლებიც და ვცდილობთ მათ დარწმუნებას. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი კურსდამთავრებულებიდან უმრავლესობა დასაქმებულია, ერთი საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურში, ზოგს აქვს ოჯახური ბიზნესი.

დღევანდელ ეტაპზე რაც ყველაზე რთულია ესაა უფრო ფართო პროფილიანი საწარმოო პრაქტიკის ობიექტის მოძიება, შეღწევა და დასაქმება, რადგან დამსაქმებლები არ არიან დაინტერესებული პროფესიულ პროგრამებზე სპეციალისტების მომზადებით და ამას ზედმეტ ხარჯებად თვლიან. ამიტომ ამ კუთხით არის მეტი მუშაობა საჭირო, რომ ეს პრობლემა დარეგულირდეს.

და ბოლოს დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ რომ, პროფესიული განათლება, რომელიც ძირითადად სახელმწიფო დაფინანსებით ხდება და ქვეყნის პრიორიტეტია, აუცილებელია, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და სოციალური ინტეგრაციის პრობლემების გადაწყვეტას, სწორედ ამიტომ, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში დაწყებული რეფორმები მნიშვნელოვანია არა საკუთრივ განათლებისა და მომზადების, არამედ ადამიანური რესურსების, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ძირითადი კაპიტალის, განვითარების თვალსაზრისით. ნებისმიერი ეკონომიკის შემდგომი განვითარება ხომ ძირითადად დამოკიდებულია შრომითი რესურსების ხარისხზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- [1] პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013/2020).
- [2] 2015 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer Study) ანგარიში.
- [3] დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ კვლევის ანგარიში ვერსია: 1.0 მომზადებულია ACT-ის მიერ UNDP-თვის დეკემბერი, 2015 თბილისი, საქართველო.
- [4] საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
- [5] პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა რაოდენობრივი კვლევის შედეგები მომზადებულია „ეისითის“ მიერ: „გაეროს განვითარების პროგრამისთვის“ (UNDP) დეკემბერი, 2015 თბილისი, საქართველო.
- [6] პროფესიული სასწავლებლებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა რაოდენობრივი კვლევის ანგარიში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
- [7] პროფესიული განათლების სტატისტიკა 2013/2015.
- [8] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადლეული 2016.

საგადასახადო დავალებმა # 1 GEL
 Payment Order
 თარიღი / Date: 15/03/2017

გადამხდელი / sender

დალო სილგამბე, 62001029128

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account

GE77TB650000451138001

გადამხდელის ბანკი / Sender's bank

ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი

TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მადგომლობადაც სრულდება გადახდა
 information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name

დალო სილგამბე, 62001029128

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code

62001029128

მიმღები / Receiver

ბაზინის ერთიანი ანგარიში. ა/ა/ი/ბ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიმღების ანგარიში / საბაზინო კოდი Receiver's Acc. / Treasury Code

709057267

მიმღები ბანკი / ბაზინა Receiver's Bank / Treasury

ბანკის კოდი / Bank Code

ფინანსთა სამინისტროს საბაზინო სამსახური

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

ა/ა/ი/ბ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურების საფასურების დასახელებით

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

კონფერენცია: უმაღლესი განათლება ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები, HENETI 2017, დალო

სილგამბე

ხელმოწერები

გ.ა.

ს.ს. „თიბისი ბანკი“

რეფერენსი / Ref. Num.

1569294310

თანხა / Amount

100.00 GEL

თანხა სიტყვიერად
 Amount in words

ასი ლარი 00 თეთრი

გადარიცხვის საკომისიო
 Transfer Fee

0.9 GEL

ბანკში საგადახდო დავალების
 მიღების/წარდგენის
 თარიღი/Document
 submission/receiving date

15/03/2017

ხელმოწერა
 Signature

სს თიბისი ბანკი
 TBCB BANK
 1569294310

თელზა მსკაპე

Signatures

ამ საგადახდო დავალების ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მემდებნე ვადასტურებ, რომ ამ საგადახდო დავალების გრაფიკი გადასახადის გადამხდელის დასახელება მოითხოვს ჩემი სახელი და გვარი, ან
 ეს გრაფიკი საერთოდ არ არის შევსებული (ცარიელია). ამ სასაუბრო აქტივით დავალებს ბანკს ვადასტურებ, რომ ეს დავალება სრულდება და არ ვმოქმედებ სხვა (მხსამი) პირის დავალებით ამ
 სასაუბროზე. არ მქვს ურთიერთობა ფიზიკურ პირთან (მეუ ბანკთან), არ ვარ საერთაშორისო საგადასახადო კორექტის 35-ე მუხლში დასახელებული მფარველი ფიზიკური პირი, ასევე საგადახდო
 დავალების საკომისიოს დათვლის პროცესში შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ ვებ-გვერდი: www.tbcbank.ge

15/03/2017 2:28:34 PM

1569294310